

მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა

*ციხისელი ქეთევან – კოორდინატორი, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური,
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, საქართველო*

Development and Implementation of Modular / Dual Vocational Education Programs

*Tsikhiseli Ketevan – Coordinator, Department of Vocational Education, National Center for Educational
Quality Enhancement, Tbilisi, Georgia*

Abstract

Economic development and prosperity of the country depends on the quality of professional education. Create professional educational programs that are customized to the labor market, the development of key competences for students and lifelong learning promotion are significant challenges of professional education. The strategy of vocational education reform developed and approved in 2013 to eliminate these challenges (2013-2020). An important activity within the framework was development and implementation of modular programs. From 2015 in the footsteps of the implementation of modular programs, National Center for Educational Quality Enhancement started to maintain the implementation of vocational programs in the framework of the program providing support for vocational qualification development. The aim of the above-mentioned process is to analyze the information according to the following factors: development of vocational programs, accessibility and needs of educational resources and guidebooks, vocational student evaluation, material and financial resources and other external factors. As a result of analyzing information, revealed those main challenges that is the accompanying part of the implementation process. Identification of the challenges and rapid response make process healthy and quality. The new phase of the reform of vocational education started in 2016 which is focused on strengthening the public-private partnership in vocational education and the introduction of the work-based learning principles. The process also needs support because it includes not only educational facility, but also the processes that are taking place in the educational enterprise. The paper contains an implementation support program analysis of modular education programs which was carried out in 2015-2016 years, the main challenges are identified, and there are also the recommendations which will help educational institutions to implement and carry out educational modular programs.

Keywords: vocational education programs, professional education, modular programs, vocational student evaluation

1. შესავალი

საქართველოს პრემიერ მინისტრის 2013 წლის 26 დეკემბრის №300 ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრთან ერთად ახორციელებს კომპეტენციებზე დაფუძნებული მოდულური პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის პროცესს. რეფორმის მიზანია ეკონომიკური განვითარებისა და პიროვნული კარიერული ზრდის ხელშეწყობა შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და ტრანსფერული უნარების გადაცემაზე ორიენტირებული ეფექტური და მოქნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დანერგვის გზით.

რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა რამდენიმე საკვანძო მიმართულებით, რომლებიც მოიცავს შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების იდენტიფიცირებასა და პროფესიული განათლების

ეროვნულ კურიკულუმების, ე.წ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების მომზადებისა და აღნიშნული თანამედროვე კურიკულუმების დანერგვის ხელშეწყობას, მათ შორის, პროფესიული განათლების სისტემაში შესაბამისი ინსტიტუციური, მატერიალური და ადამიანური რესურსების შექმნას.

2016 წელს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაცხადდა ახალი ინიციატივა პროფესიული განათლების რეფორმის ახალი ფაზის დაწყების შესახებ, რომელიც ეფუძნება საჯარო-კერძო პარტნიორობის გაძლიერებას პროფესიულ განათლებაში და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პრინციპების დანერგვას, ეს ინიციატივა აისახა საქართველოს მთავრობის 2016-2020 წლების სახელმწიფო პრიორიტეტების სამოქმედო გეგმაშიც. მომზადდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების კონცეფცია, რომელიც განხილულ და მოწონებულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს (NVETC) მიერ.

2. ზოგადი ინფორმაცია

პროფესიული მოდულური პროგრამები წარმოადგენს ბაზარზე ორიენტირებულ, მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შემუშავებაც დაიწყო 2013 წლიდან ევროკავშირის რეკომენდირებული DACUM მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს პროცესების ფორმირებაში აქტიურ ჩართულობას დამსაქმებლების მხრიდან.

პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის (2013-2020) პირველი ეტაპის 3 წლიანი გეგმის თანახმად აღნიშნული პროგრამების დაფინანსებას უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ამ მიზნით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2013-2016 წლებში ფუნქციონირებდა „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამა“, რომელიც ორიენტირებული იყო პროფესიულ სტანდარტებსა და ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებასა და დამტკიცებაზე.

პროგრამა ასევე ითვალისწინებდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას, როგორც საწყის ეტაპზე (მაგ. სასწავლო გეგმების შემუშავება), ასევე სასწავლო პროცესის განხორციელების პერიოდში.

2017 წლიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დამტკიცებას უზრუნველყოფს „პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების ადმინისტრაციული მხარდაჭერისა და შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა“, ხოლო მხარდაჭერის პროცესს ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

„პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში 2013 წელს დაიწყო მუშაობა პროფესიული სტანდარტების შემუშავებაზე. პროფესიულ და ტრანსფერულ კომპეტენციებზე შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნის ასახვის მიზნით, პროცესი მიმდინარეობდა დამსაქმებლის აქტიური ჩართულობით. საერთო ჯამში 2013-2016 წლებში 1000-ზე მეტი ბიზნეს კომპანია და ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას პროფესიული სტანდარტების შემუშავების პროცესში.

2013-2016 წლებში დამსაქმებლების მონაწილეობით შემუშავდა, გადამუშავდა და გადაიხედა 298 პროფესიული სტანდარტი.

დარგობრივ საბჭოზე ვალიდაცია გაიარა 131 პროფესიულმა სტანდარტმა. დამტკიცებულია 100 სტანდარტი ცენტრის დირექტორის ბრძანებებით და განთავსებულია ერთიან ელექტრონულ რეესტრში ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის ფარგლებში მიმდინარეობს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და დანერგვა. პროფესიული კომპეტენციების ჩადრმავებული და გაუმჯობესებული სწავლების გარდა, რეფორმა მრავალ სიახლეს გვთავაზობს. ესენია: პროგრამის მოქნილი მოდულური ფორმატი, ორიენტირებულობა კომპეტენციებზე, მთელი სიცოცხლის

მანძილზე სწავლების ევროპის საკვანძო უნარების ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად ორიენტირებულობა ტრანსფერული უნარების (მათ შორის, უცხოურ და მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის, პერსონალური და ინტერპერსონალური, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და მეწარმეობის უნარების) განვითარებაზე და პროგრამაში სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების მონაცვლეობა, რაც სპეციალიზაციისა და ინდივიდუალური არჩევანის გაკეთების მრავალფეროვან შესაძლებლობებს იძლევა. სიახლეა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში საერთო ეროვნული კომპონენტიც, რაც ქმნის გარანტიას, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შემოთავაზებას. ამავდროულად, ეროვნულ დონეზე პროგრამების მხოლოდ ნაწილის (70-80%) რეგულირება გულისხმობს, რომ არსებობს ინოვაციების დანერგვის, ლოკალური ბაზრის მოთხოვნების ასახვის, ინდივიდუალური კონკურენტუნარიანი პროგრამების განვითარების შესაძლებლობა.

2015-2016 წლებში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებულ იქნა 83 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში დარგობრივი ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფები თემატური ჯგუფების სახელწოდებით 2010 წლიდან ფუნქციონირებდნენ და მათ ძირითად საქმიანობას პროფესიული სტანდარტების განხილვა წარმოადგენდა. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია დარგობრივი საბჭოების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას ითვალისწინებს მათი გაფართოებული მანდატით, განახლებული რეგულაციებითა და წევრთა გაზრდილი შესაძლებლობით. ტრიპარტიტიზმის გათვალისწინებით საბჭოები დაკომპლექტებულია საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, დარგობრივმა სამინისტროების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებები, საქართველოს კერძო კოლეჯებისა და საქართველოს პროფესიული განათლების ასოციაციების წარმომადგენლებით.

საერთო ჯამში 2015-2016 წლებში ჩატარდა დარგობრივი საბჭოს 56 სხდომა, სადაც განხილული იქნა 384 საკითხი, 370 მიეცა დადებითი რეკომენდაცია, ხოლო 14 დაუბრუნდა ინიციატორს.

2016 წლის მთვარ მიღწევას წარმოადგენდა დუალური მიდგომით მოდულური პროგრამების სწავლებაში ჩაშვება. გაეროს განვითარების პროგრამის „საქართველოში სოფლის მეურნეობის მიმართულების პროფესიული განათლებისა და ექსტენციის სერვისების მოდერნიზაციის პროექტთან“ და გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან თანამშრომლობით მომზადებული აგრარული მიმართულების სამი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული პროგრამების განმახორციელებელმა 4 საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოამზადა და გაიარა ავტორიზაცია მეხილეობის, მეცხოველეობის და მევენახეობა-მეღვინეობის პროგრამებზე სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით (ე.წ. დუალური) განსახორციელებლად და დაიწყო ამ პროგრამების დანერგვა 2016 წლის საშემოდგომო მიღებიდან. დუალური მიდგომით განსახორციელებელ პროგრამებზე 2016 წლის შემოდგომაზე 4 საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა 60-მდე სტუდენტი.

2. პროგრამების დანერგვა


მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვით ბევრი თვისებრივი სიახლე შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისად, რეფორმის ორიენტირების სწორი გაცნობიერება, სიახლეების დანერგვისთვის მზაობა და ახალი მეთოდოლოგიების ცოდნა მოდულური პროფესიული პროგრამების წარმატებული დანერგვის მნიშვნელოვანი ეტაპია.

2015 წლიდან, მას შემდეგ, რაც სწავლებაში ჩაეშვა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები პერმანენტულად ხორციელდება დანერგვის მხარდაჭერის პროცესი.


დანერგვის მხარდაჭერის პროცესების დაწყებამდე განხორციელდა წინასწარი კვლევა. კვლევისათვის მოხდა ფოკუს ჯგუფების დაკომპლექტება და გამოკითხვის გახორციელება წინასწარ შედგენილი კითხვარების მეშვეობით. გამოკითხვის ჩატარების შედეგად მიღებული ინფორმაცია შემდგომში დამუშავდა და მოხდა მისი გაანალიზება. გამოიკვეთა ჯგუფის წევრების აზრით ყველაზე აქტუალური საკითხები, ზოგადად მათი დამოკიდებულება მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესის მიმართ, მხარდაჭერისა განხორციელების შესაძლო გზები და ა.შ.

მაგალითად:

- ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა 72%-ის აზრით დანერგვის მხარდაჭერის მექანიზმი უნდა მოიცავდეს შიდა და გარე კომპონენტებს



- მონაწილეთა 59% თვლის, რომ დანერგვის მხარდაჭერის პროცესში ძირითადი მოქმედი პირები მასწავლებლები არიან



- მონაწილეთა 72% თვლის, რომ მხარდაჭერის გარე ჯგუფი უზრუნველყოფს მხარდაჭერის ეფექტიანობის ზრდას

- მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ დარგის წარმომადგენლების როლი მნიშვნელოვანია დანერგვის მხარდაჭერის პროცესში
- მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ მხარდაჭერის პროცესი უნდა იყოს უწყვეტი

დანერგვის მხარდაჭერა გულისხმობს ახლადშექმნილი მოდულური პროფესიული პროგრამებზე (პროგრამის სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის საშუალებების - სწავლა-სწავლების პრინციპების, სახელმძღვანელოების, შეფასების ახალი სისტემის და ა.შ.) დაკვირვებას მათ რეალურ, ბუნებრივ გარემოში. ის ასევე გულისხმობს დაკვირვების პროცესში გამოვლენილი სირთულეების ანალიზსა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას მოდულური პროგრამების განხორციელების პროცესის მხარდასაჭერად.

მხარდაჭერის პროცესის მიზანია მოხდეს პროგრამის დანერგვის/განხორციელების მიმდინარეობაზე დაკვირვება მისი ხარვეზებისა და უპირატესობების გამოსავლენად. დანერგვა შესაძლებელს გახდის გაკეთდეს გაუმჯობესებისათვის საჭირო დასკვნები, რათა შემდგომ განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები.

მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მოსალოდნელ შედეგებს წარმოადგენს:

- 1) საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის გაუმჯობესება;
- 2) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების მოქნილობა: სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტების მოთხოვნებთან შესაბამისობა; პირისათვის მეტი თავისუფლების მინიჭება საკუთარი საგანმანათლებლო კარიერის დაგეგმვასა და არჩევაში;
- 3) სამუშაოზე გასვლისა და საგანმანათლებლო სისტემაში ხელახლა დაბრუნების გაადვილება სწავლის გასაგრძელებლად ან/და დამატებითი კვალიფიკაციების მისაღებად;
- 4) ვერტიკალური და ჰორიზონტალური მობილობის ხელშეწყობა;
- 5) კრედიტების დაგროვების შესაძლებლობა პროფესიული კვალიფიკაციის მისაღებად;
- 6) შეფასების სტანდარტების მომზადებისა და დანერგვის საფუძველზე ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის შეფასების პროცესისა და მინიჭებული კვალიფიკაციების სტანდარტიზება;
- 7) უნარების შესაფასებლად კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასების მიდგომის დანერგვა;
- 8) სტუდენტებისათვის ზოგადი კომპეტენციების განვითარება შესაბამისი მოდულების საფუძველზე.

საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოდულური პროგრამების დანერგვის წარმატებით განხორციელების უზრუნველსაყოფად საჭიროა პროცესზე მუდმივი დაკვირვება, შესაბამისი ინდიკატორების მიხედვით მონაცემების შეგროვება-ანალიზი და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა. ამისათვის საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირება დაიწყეს შიდა მხარდაჭერის ჯგუფებმა, ხოლო სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერას ახორციელებს გარე მხარდაჭერის ჯგუფების მეშვეობით.

მხარდაჭერის ჯგუფების შემადგენლობა:

შიდა მხარდაჭერის ჯგუფი:

- კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი
- ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
- პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი

- პროფესიული განათლების მასწავლებელი თითოეული მიმართულებიდან
- დარგის წარმომადგენელი (კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია)

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ასრულებს კოორდინატორის მოვალეობას, რომლის ფუნქციებშიც შედის:

- ჯგუფის წევრთა სამუშაოების კოორდინაცია,
- შეხვედრების ორგანიზება, მასალების შეგროვება,
- შეხვედრების დოკუმენტირება,
- გარე მხარდაჭერის ვიზიტების ფასილიტაცია.

გარე მხარდაჭერის ჯგუფი:


- პროფესიული განათლების ექსპერტი
- დარგის წარმომადგენელი (ექსპერტი)
- მხარდაჭერის განმახორციელებელი სტრუქტურის გადაწყვეტილებით სხვა საჭირო პირი.

მოდულური პროფესიული პროგრამების/მოდულების დანერგვის მხარდაჭერის პროცესის მიზნებია ინფორმაციის გაანალიზება, როგორც შიდა, ასევე გარე მხარდაჭერის ჯგუფების მიერ, შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

- 1) მოდულური პროგრამების განვითარება;
- 2) საგანმანათლებლო რესურსებისა და გზამკვლევების ხელმისაწვდომობა და საჭიროებების ანალიზი;
- 3) მასწავლებელი დანერგვის პროცესში/სასწავლო პროცესის ანალიზი;
- 4) პროფესიული სტუდენტის შეფასება;
- 5) მატერიალური და ფინანსური რესურსები;
- 6) გარე ფაქტორები.

დანერგვის მხარდაჭერის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი

სქემით



დანერგვის მხარდაჭერის ეფექტურობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია რეაგირების მაღალი სისწრაფე და პროცესში ჩართულ აქტორებს შორის კოორდინაციის მაღალი დონე. ზოგადად დანერგვის მხარდაჭერის პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული ხარისხის უზრუნველყოფასთან. შესაბამისად მისი გამოყენება ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

დანერგვის პროცესის შედეგად იდენტიფიცირებული გამოწვევების განხილვა და მხარდასაჭერი ღონისძიებების დაგეგმვა მიმდინარეობს დაინტერესებული პირების ჩართულობით (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სამინისტროს სსიპ-ები, საგანმანათლებლო დაწესებულებები). 2016-2017 წლებში აღნიშნული სახის სამი შეხვედრა გაიმართა. საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ძირითადად ერთიდაიგივე სახის გამოწვევები ფიქსირდება მაგ, ზოგადი სავალდებულო მოდულების სირთულე (პროფესიულ სტუდენტებს დაბალი საბაზო ცოდნის გამო უჭირთ ზოგადი სავალდებულო მოდულების დაძლევა), ასევე სირთულეს წარმოადგენს სტუდენტის შეფასების პროცესი (შეფასების ინსტრუმენტები, მტკიცებულებების შეგროვებისა და შენახვის პროცესი და სხვა). დანერგვის მხარდაჭერის პროცესიდან გამოკვეთილი არცერთი გამოწვევა არ რჩება რეაგირების გარეშე. განხილვის შემდეგ იწყება მუშაობა გამოწვევების აღმოფხვრისა და ხარისხის გაუმჯობესების პროცესებზე.

2015 წელს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა დაიწყო 26 საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ხოლო 2016 წელს მათი რაოდენობა გაიზარდა 45 საგანმანათლებლო დაწესებულებამდე.

2015 წლიდან დღემდე განხორციელდა მოდულური პროგრამების დანერგვის კონსულტირების 75 ვიზიტი და მხარდაჭერის 154 ვიზიტი.

გარდა კონსულტირებისა და მხარდაჭერის ვიზიტებისა 2015-2016 წლებში იმართებოდა სხვადასხვა აქტივობები მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის მიზნით. მათ შორის აღსანიშნავია მოდულური პროგრამების განმახორციელებელი პედაგოგების online გამოკითხვა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მასშტაბით 263 - მა პედაგოგმა. გამოკითხული პედაგოგების 89% დადებითად აფასებს მოდულური პროგრამების დანერგვის მნიშვნელობას პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისათვის. ასევე, გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ გამოკითხული პედაგოგების 99,2 % ჩართულია მოდულური პროგრამების განხორციელების პროცესში.

მოდულური პროგრამების განმახორციელებელ პედაგოგთა კითხვარი


1. ხართ თუ არა ჩართული მოდულური პროგრამის განხორციელებაში?

(256 პასუხი)



2015-2016 წლებში საქართველოს მასშტაბით ყველაზე მასიურად სწავლებაში ჩაეშვა „ბაგა-ბადის აღმზრდელი პედაგოგისა“ და „პრაქტიკოსი ექთნის“ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები. თითოეული მათგანი ავტორიზაციის გზით დამატებული აქვს 14 საგანმანათლებლო დაწესებულებას. 11 საგანმანათლებლო დაწესებულებას ავტორიზაცია მიღებული აქვს „ბუღალტერ-ტექნიკოსის“ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაზე. „დაბალი მაზვის ელექტრიკოსის“ და „ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სპეციალისტის“ მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზებული აქვს 9 საგანმანათლებლო დაწესებულებას.

10. როგორ აფასებთ მოდულური პროგრამების დანერგვის მნიშვნელობას პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებისათვის (254 პასუხი)



2017 წლისათვის მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები ავტორიზაციის გზით დამატებული აქვს 50 საგანმანათლებლო დაწესებულებას. აქედან 35 წარმოადგენს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, 13 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და 2 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას.

4. დასკვნა და რეკომენდაციები

საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ პროფესიული განათლების როლის გაძლიერებისა და საქართველოს მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილად ჩამოყალიბებისა და პროცესების დინამიურად განვითარების გათვალისწინებით, მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის პროცესი 2017 წელს აქტიურად გაგრძელდება.

დანერგვის პროცესთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნას შემდეგი რეკომენდაციები:

- შეფასებისა და კვალიფიკაციების მინიჭების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფილი იქნას შეფასების პროცესში დარგის წარმომადგენელთა ჩართულობა. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ მთავარ სირთულეს ამ მომენტისთვის დარგის წარმომადგენლების მოტივაციისა და დაინტერესების ნაკლებობაა. შესაბამისად, გადასადგმელია საჭირო ნაბიჯები, რათა მოხდეს ბიზნესის წარმომადგენლების ცნობიერების დონის ამაღლება და მოტივაციის დონის ამაღლება;
- დუალური პროგრამების განხორციელების პროცესების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულ იქნას მარეგულირებელი დოკუმენტები;
- ჩამოყალიბდეს შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის ალტერნატიული გზა - სასწავლებელში/დარგობრივ გაერთიანებაში/საწარმოში (ზოგიერთი პრაქტიკული უნარის გამოვლენის მიზნისთვის) საკვალიფიკაციო გამოცდა;
- სასურველია, ზოგადად, დარგების წარმომადგენლების (დამსაქმებლები, პროფესიული გაერთიანებები, საწარმოები) მაქსიმალურად ჩართვა როგორც შიდა, ასევე, გარე მხარდაჭერის პროცესებში;

მთავარ გამოწვევას კი, მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება და შრომის ბაზრის კვალიფიციური კადრებით მომარაგება წარმოადგენს.

გამოყენებული წყაროები

1. საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანება N300 (2013 წლის 26 დეკემბერი, ქ. თბილისი) - პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020 წლები;
2. მოდულური პროგრამების დანერგვის მხარდაჭერის გაფართოებული სქემა და მეთოდოლოგია (UNDP, დეკემბერი, 2015 წელი).